№ 22 იანვარი 29, ოთხშაბათი. 1886 იანვარი 29, ოთხშაბათი № 22

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყოველ განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: ივერიის რედაქციას, ახალ-შენუთოვის ქუჩაზე, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა, ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

ქართული თეატრი

დღეს, ოთხშაბათს, 29 იანვარს

ბენეფისი

ნ. საბყელისა (ნ. მ. ჯორჯაძისა)

ქართულის დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

პრეჯინსკის ქორწილი

კომ. 3 მოქ., თხზ. სუხოვო-კობილინისა, თარ. ა. ღულაძისაგან.

II

ბიძიასთან გამოხუმრება

ვოდევილი 1 მოქ., თ-დი რ. ერისთავისა

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ტფილისი, 28 იანვარს

ჩვენ ამას წინად მეთაურს წერილებში უკვე ვჰსთქვით და არა ერთხელაც, რომ გერმანიას ევროპაში ბევრი მომდურავი ჰყავს და რადგანაც პოლიტიკის მავთულები, რომელნიც ასე ძალიან ჰხლართავენ საქმეებს, გერმანიის უხილავის ხელით იძვრის, ყველანი ჰგრძნობენ გულში რაღაც ტკივილს, არავის გული გულის ადგილას არა აქვს. ბისმარკის პოლიტიკამ, რომელიც საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ევროპის პოლიტიკათ შეიქმნა, ისე მოაწყო საქმეები, რომ ერთის სანუკვარო ლუკმა მეორის ხელში დააგდო და ამით ყველას ზავის მიზეზიც დაუნარჩუნა ერთმანეთში და განხეთქილებისაც. რა თქმა უნდა, ამისთანა მდგომარეობა მარტო გერმანიას უმართავს ხელსა, რადგანაც ბისმარკი უნდა წაჰსჩხუბებს ერთმანეთს სახელმწიფოებს, უნდა ზავს შეაკვრევინებს, იმისდა მიხედვით, თუ რა დროს რა მოუნდება გერმანიას. ვჰსთქვათ, ბისმარკს ავსტრიის დახმარება მოუნდა იტალიის წინააღმდეგ, ამისათვის დიდი ცდა და დავი-დარაბა არ მოუნდება: აიღებს და ადრიატიკისაკენ გზას უჩვენებს ავსტრიას. რომ ამისთვის ავსტრიას საღერღელი აქვს აშლილი, ამაზედ ლაპარაკი საჭირო არ არის. ანუ ვჰსთქვათ, ინგლისის დახმარება დაინახა ბისმარკმა საჭიროდ; ეგვიპტეში, სუდანში დახლართულს საქმეებს გაგისწორებო, ერთი ეს რომ უთხრას, ინგლისიც მაშინვე დაჰჭყვება და თუ სახანგრძლიოთ არა, დროებით მაინც მიემხრობა. თუ ვინიცობაა ბისმარკმა ერთმანეთში წაკიდება დაინახა საჭიროდ, ამისთვისაც მრავალი ღონის-ძიება აქვს ევროპის პოლიტიკაში, რომელიც მანვე განგებ ამ დღეში ჩააგდო. ახლა რად უნდა ბისმარკს ასე არეულ-დარეული საქმეო, იკითხამთ. იმისთვის უნდა, რომ განსაცდელის დროს ევროპას ერთი პირი არა ჰქონდეს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ერთ-პირობა და ერთ-სულობა ევროპიისა საშიშარია გერმანიისათვის, რომლის სიმძლავრე და ბატონობა ევროპაში მეტად სამძიმოა ყველასათვის.

«ჩვენს მომავალს ბედს რომ ვუყურებო, ჰსთქვა ბისმარკმა ეხლა-ხან პრუსიის რეიხსტაგში: შიში მებადება გულშიო. მე დარწმუნებული ვარო, რომ ჩვენ, დღეს იქნება, თუ ხვალე, საქმე გვექნება ჩვენს წინააღმდეგ წარმომდგარს შეერთებულს ძალასთანაო».

თუმცა ბისმარკმა ეს წამოჰსთქვა შინაურთა საქმეთა გამო და თითქო შინაურს მტრებს გადაჰკრა, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მის გულში დაბადებული შიში უფრო შორსა ჰსცემს, შინიდამ გარედაც გადის. ეს ფრიად დიდ მნიშვნელობიანი ამბავია. ჰსჩანს ბისმარკს ალ-ღო უკვე აღებული აქვს მისი, რაც ეხლა ევროპაში იდუმლად ჰსწარმოებს.

ბალკანიის საქმემ რომ საპოლიტიკო ცას თვალთ-გაუწვდენელი ღრუბელი მოჰფინა, ეხლა ეს ღრუბელი ცოტად თხელდება. ერთ-მხრივ მაგ ცის კალთაზედ ცოთაოდენი შუქი გამოჩნდა, რომელიც ნებას გვაძლევს, თვალს ცოტა რამ გავაჭრევინოთ ამ ბინდ-ბუნდში, რომელსაც აღმოსავლეთის საქმე დღეს წარმოგვიდგენს. ავსტრიაში, ანუ უკეთ ვჰსთქვათ, ავსტრიის მეორე ნახევარში, ვენგრიაში, უკვე ხმა-მაღლა იძახიან, გერმანიასთან ერთად ყოფნა ჩვენ არ გამოგვადგებაო, ბევრში გაგვიცრუა გერმანიამ იმედებიო, ჰსჯობს გერმანიას ხელიდამ გამოვეცალნეთო და ჩვენვე ჩვენი ბედი ვიძიოთო. რაკი დღეს აღმოსავლეთის საქმე აიშალა, ჩვენ გულ-ხელ დაკრეფილნი როდი უნდა ვიყვნეთ სხვის მაყურებელნიო, ჩვენ იტალიასთან უნდა დავიჭიროთ საქმე; იტალია და საბერძნეთი საქმეთა მდინარეობამ იმ დღეში ჩააყენაო, რომ ერთმანეთს უნდა მიემხრონო და თუ ჩვენც ზურგი ამათ არ მივეცითო, ბალკანიის ნახევარ კუნძულზედაც ხელს დაგვაბანინებენო და ადრიატიკისაკენაც გზას გაგვიღობენო.

აი, მაშასადამე, სადა ყოფილა სათავე საბერძნეთის ჯიუტობისა და ჭირვეულობისა, აი ზურგი სადა ჰქონია მიყუდებული საბერძნეთსა. თუ ეს მართალია, საკვირველი არ არის, რომ ეს პატარა საბერძნეთი ასე თამაშობს და ეურჩება ევროპასა. მართალია, ევროპამ თავისი ესკადრები სუდსის ნავთ-სადგურში ჩააყენა ვითომდა საბერძნეთის შესალაგმავად, მაგრამ ეს არავის არა ჰსჯერა. ვინ იცის, რომელის სახელმწიფოს ესკადრა ვისკენ იბრუნებს პირს, თუ თოფი საიდამმე გავარდა. დღეს ასეთს ყოფაშია ევროპა, რომ მშვიდობიანობის დაურღვევლობა არავისა ჰსჯერა და ზოგიერთნიც ასეთი უჯერონი არიან, რომ შიშის თვალით უყურებენ გაზაფხულსა და ჰთრთიან მომავალის გამო. სწორედ უნდა ჰსთქვას, დიდი სათრთოლავიც არის: თუ თოფი გავარდა, ჭექა-ქუხილი ატყდება მთელს ევროპაში.

დეპეშა

იანვრის 27

ლონდონი. დღეს შუადღის უკან ტრაფალ-მარდის სასეირნო ბაღში სოციალ-დემოკრატებურმა ფედერაციამ დიდი კრება გამართა იმ მუშებისა, რომელთაც სამუშაო არა აქვთ. კრებას გადაუწყვეტია, საჭიროა დაუყოვნებლივ იქმნას მიღებული ღონისძიება, რომ სიღარიბე შემცირდესო, აშენდეს სახლები მუშებისათვის და ათი საათის მაგივრად რვა საათზედ მეტი მუშაობა აღარ იყოს დღეშიო. ბევრს ამაღლებული სიტყვა წარმოუთქვამს კაპიტალისტების წინააღმდეგ და ურჩევია მუშებისათვის, სოციალისტური რევოლიუცია მოახდინოთო; ერთს ორატორს წითელი ბაირაღი გაუშლია და უთქვამს რომ ფედარაციას გამოჰყევითო, ფედერაცია ნიშანს მოგცემთ და თავს დაესხმით ლონდონის ვესტ-ენდის უბანსა და ავიკლოთო, თუ მმართებლობამ შემწეობა არ მოგვცაო.

ახალი ამბავი

*** გუშინწინ დაიწყო საეპარქიო კრება სამღვდელოებისა. სამღვდელოება ჯერ მის ყოვლად-უსამღვდელოესობას ეგზარხოსს პავლეს ეახლა და ლოცვა-კურთხევა მიიღო თავის მწყემს-მთავრისაგან. აქ ერთი დაბრკოლება აღმოჩნდა. ეგზარხოსის განკარგულების ძალით, ბლაღოჩინებს უნდა წარმოედგინათ მის ყოვლად-უსამღვდელოებისათვის ორ-ორი კანდიტატი დეპუტატებისა და თვით ეგზარხოსს უნდა გადაეწყვიტნა, რომელი კანდიდატთაგანი უნდა გამოცხადებულიყო საეპარქიო კრებაში. ბლაღოჩინებს ეს განკარგულება არ შეუსრულებიათ და, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ხუთი დეპუტატია დღეს ჯეროვანის წესით ამორჩეულიო. ეგზარხოს უბრძანებია ბლაღოჩინებისათვის, დაუყოვნებლივ შეასრულეთ ჯეროვანი წესი დანარჩენ დეპუტატების შესახებაცაო.

*** კვირას, 26 იანვარს, მ. მ. საფაროვის ბენეფისი იყო. ითამაშეს კომედია, «ბედნიერი დღე», ჰამლეტიდამ» ორი სცენა და ვოდევილი «გულმა იგრძნო». უნდა სასიამოვნო მოვლენად ჩავთვალოთ, რომ თითქ-

ფელეტონი

საუბარი ვაგონში

(შემდეგი*)

ზემო ქართლში მივედით. მესამე კლასის ვაგონებში ხალხი მალ-მალ იცვლებოდა. ერთ ვაგონში იჯდა შუა-ხნის კაცი გვერდით რამდენიმე მომუსაიფე ჰყავნდა. მათმა მაღალმა ლაპარაკმა და ბაასმა მიმიზიდა. ხშირად ისმოდა სიცილი და ხარხარი. შუა-ხნის წამოსადეგი კაცი უფრო თავ-დაჭერილს კაცსა ჰგავდა და როგორც სჩანდა მუსაიფის სული და გული ის იყო.

— გამარჯობა თქვენი, დილა მშვიდობისა, თეიმურაზ, მიესალმა ახლად შემოსული მოხსენებულ შუა-ხნის კაცსა და მის მომუსაიფეთა.

— გაგიმარჯოს ღმერთმა, ალექსი.

— რა ქენი, როგორ გაათავე შვილის საქმე? გაისტუმრე უნივერსიტეტში? ჰკითხა ალექსიმ.

— გავისტუმრე, მადლობა ღმერთსა. ვნახოთ რა იქნება. ჯერ კი წავიდა და ბოლოა საქმე.

— ყოჩაღ, თეიმურაზ. ბედნიერი კაცი ხარ, მაგ დღეს შეესწარ. თქვენმა მზემ მტრისთვისაც სასიამოვნოა. ძალიან კი მოგიხერხებია. მამულს დააგირავებდი. მაგრამ ღმერთი მოწყალეა, მოგივა, გადაგიხდის.

— კიდეც ეგ არის, რომ ძნელია. როგორ მოვახერხე და ასე რომ მამულის დაგირავებაზე, როგორც მაშინ გითხარი, სულ უარზედ დავდეგ. არა შენ, შენ დღე-გრძელობას, რომ დავაგირავო და ერთი მოუსავლობის წელიწადი დამიდგეს, ხომ დავიღუპე. თუნდ მოსავალიც მოვიდეს, ეხლაც ცოლ-შვილს ძლივს ვაცხოვრებ, რით უნდა გადავიხადო და ერთის სულის გულისთვის ცოლ-შვილი როგორ დავღუპო? კარგა ხანი მეღიჯინებოდა ჩემი ბიჭი, მაგრამ ყმაწვილია, აბა რა ესმის ცხოვრებისა. ბიჭო, შე მამაოხერო-მეთქი: ხო ხედავ რა საცხოვრებელი გვაქვს-მეთქი, დედა შენი ორ შაურს არ იმეტებს მოსარეცხე დაიჭიროს, თითონა რეცხავს სარეცხსა-მეთქი, რა მაქვს დასამალავი თქვენთან, სწორედ ასეა, თქვენმა მზემ, თითქო გემნაზია შეასრულე, 21 წლის ვაჟი კაცი ხარ, რატო არა ხედავ რის ყოფითა ვცხოვრობთ და ეს ოხერი პატარა მამული რა უნდა გახდეს, შენც ფულები გიგზავნო და ამოდენა სულიც ვაცხოვრო-მეთქი.

— ჰჰ... რასაკვირველია, ძნელია, ამოიოხრა ერთმა გვერდით მჯდომმა.

— ახლა სწავლა გაქვს, დაგაბინავე, სწავლაზე დაგაყენე, ღმერთმა ამ დღემდის უვალოთ გამამიყვანა. ახლა როგორც ჭკუა გიჭრიდეს, გაისარჯე და გზა იპოვნე-მეთქი. მამი ჩემის ანდერძს გეტყვი, რაც ჩემთვის მოუცია. ღმერთმა აცხონოს! საქმე თუ გაგიჭირდეს, ტალახის მუშათ დადექ და უსაქმოდ ნუ ივლიო, ვალს ერიდეო, კარ-და-კარ მავალი მთხოვარა გლახა და ვალის პატრონი ერთიაო. საბნის დაგვარად, ფეხი გაჭიმეო, ასე იტყოდა. წადი, მე ველარას გამოგადგები-მეთქი. ი ლამაზ-ლამაზი ლექსები რომ გაგიზეპირებია და ამბობ: «ჰე მამულო სასურველო, ვინ გახსენოს რომ მის გული, არ ათრთოლდეს სიხარულის ალტაცებითა ალვსილი.» ჯერ ეს მამულია მეთქი; ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოვო.

— რა პასუხი გითხრა? მგონია მაგ გვარი ლაპარაკი არ შეგფეროდა იმისთანა შვილთან, რომლისგანაც აქამომდე ცუდი არც გაგიგონია და არც გინახავს. საყვედურით და გულ-მოსულის კილოთი უთხრა ალექსიმ.

— მამიყვა ბევრ თანხებს, ასეო, ისეო.—ააბა, შენც არ მამიკვდე, «სასურველი» მამული არ დავაგირავო-მეთქი. შენც კარგა იცი, ალექსი, გულში რა ცეცხლი მქონდა. ყმაწვილს სწავლა ჰსწყუროდა და ვერ მამეკლა წყურვილი. მაგრამ აბა გამამტყუნე, ბოლო რა მოვა, ვინ იცის? მიდის სასწავლებლად, ან ჰო და ან არა. გამოადგება ოჯახს თუ არა? იმედი კი მაქვს, ავი არ გამოვიდეს, მაგრამ ყველა გარემოებაზე ჰკიდია. რამდენი მაგალითი ვნახეთ ოჯახების აოხრებისა. ნასწავლებიც მოვიდნენ, მაგრამ როგორც მე და შენ არა გვინახავსრა, ისე იმათ ოჯახებს. პირ-იქით ოჯახს ზედ დააწვნენ და ვისაც მამული ებადა დარჩენილი, ისიც დააგირავეს და შეჭამეს. აი ამ დღეებში სურამის თავში იმ დიდ ტყესა ჰყიდიან, ტორგია დანიშნული. მე და შენი ნაცნობის ბატონის ვალში იყიდება. ქალაქში კარგი საქმე ჰქონდა, წელიწადში ოთხასი თუმანი შემოსავალი

---

*) იხ. «ივერია» № 21, 1886 წ.

მის ყველა არტისტები, ერთი-ორის გარდა, ცდილიყვნენ, როლები კარგად შეესწავლათ, თანხმად თამაშობდნენ და მაყურებლებს კარგად ასიამოვნეს. თითონ «ბედნიერი დღის» შინაარსზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით: თითქმის არაფერი აზრია გატარებული შიგ, თუმცა მხიარული პიესაა და მაყურებლები ბევრიც აცინა;— პიესას დიდი ნაკლულევანება არა აქვს, ესეც კარგია, რომ კაცს სალი და მართალი სიცილი მოჰგვაროს.

მოთამაშეებში უმთავრესი ადგილი ქალებს უნდა მივცეთ. მშვენიერი იყო «პოჩტმეისტერის» ცოლის როლში გაბუნიას ქალი. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ნიჭიერს არტისტკას ნამდვილი არტისტიული ძარღვი უცემს, ცხოველი ცეცხლი უღვივის გულში. პირველს მოქმედებაში, როდესაც რევიზორის მოსვლა შეიტყო, გაბუნიას ქალი ისე გაცხარდა, რომ სრულებით დაავიწყდა, რომ სცენაზეა, წაავლო ხელი თავის ჩერჩეტა, გამოშტერებულს ქმარს, რომელიც გაზეთს ჩასჩერებოდა და ქვეყნისა აღარა ესმოდა-რა, წაართვა ჩიბუხი და ისე ძრიელ დაახეთქა, რომ სულ დაიმტვრა და ნამტვრევებმა პარტერშიაც კი მოაღწიეს. ერთს რუსულის გაზეთის რეცენზენტს კარგა მოზრდილმა ნამტვრევმა მგონი შუბლიც შეუკოცნა, თითქო იცნოვო!

პატივცემულმა მობენეფისემ ნიჭიერად აღასრულა თავისი როლი, მაგრამ ამას მიხვრა-მოხვრაში ერთი ნაკლი შევნიშნეთ, რომელიც, ჩვენის ფიქრით, სცენაზე სათაკილოდაც უნდა ჩაითვალოს. ვის გაუგონია, რომ ქალი კაცს ეტრფიალებოდეს, ეალერსებოდეს და ზურგი ისე უმართებულოდ შეუქციოს, როგორც საფაროვის ქალს მოუვიდა. ურიგო არ იქნება, რომ საფაროვის ქალი ამ გვარ ჩვეულებებს, საკვლაოდ, ერიდებოდეს. ანდრონიკოვის ქალმა სრულიად წაახდინა თავისი როლი; არც ეგრე გადაჭარბება უნდა. შეიძლება თითონ პიესის ბრალიც იყოს, რომ ანდრონიკოვის ქალი წამ-და-უწუმ ამთქნარებდა; მაგრამ ქალი რაც უნდა მძინარა იყოს, არ შეიძლება, რომ იმ დროს, როდესაც მას კაცი სიყვარულს უცხადებს, სისხლი არ აუჩქროლდეს, ცოტა სიცოცხლე მაინც არ გამოიჩინოს, თუნდ ესეც არ იყოს, ანდრონიკოვის ქალისავით მთქნარებას მაინც არ მოჰყვებოდა. მაგრამ ბევრსაც ვერ ვუკიჟინებთ ანდრონიკოვის ქალს,—იქნება უფრო მეტი ბრალი უნდა დედოს ამის მოტრფიალეს, საქმროს, რომელიც თავის უხამსი თამაშობით ძილს თუ მოჰგვრიდა თავის სატრფოს, თორემ გრძნობას კი ვერა სახით ვერ აღუძრავდა. მართლა და, ვინ არ შეიქმნება მძინარა მაქსიმიძესთან.

ვოდევილში საფაროვის ქალი ნამდვილს ახალ-გაზდა, ცქრიალა, ანცს ქალს მოგვაგონებდათ. ამ გვარ როლებში, რუსები «проступка»-ს რომ ეძახიან, ჩემის ფიქრით, საფაროვის ქალი უკეთესს რუსეთის არტისტკებს არ ჩამოუვარდება.

დიდის სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ის გარემოება, რომ საზოგადოება ღირსეულად აფასებს ნიჭიერს არტისტკას: საფაროვის ქალს მიართვეს მისი სურათი, ოფელიათ გამოსახული, ბერიძესაგან ნახატი, მშვენიერი ალბომი და ვერცხლის საწერ-კალამი.

ხალხმა ზურნით და ბენგალის ცეცხლით გააცილა საყვარელი აქტრისა ქუჩამდინ.

დღეს, ოთხშაბათს, დანიშნულია ბ-ნ ჯორჯაძის ბენეფისი.

⁂ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს ტყეთა მართვა სხვაფრივ შეიცვალოს კავკასიაში. სულ 77 სატყეო მაზრა იქნებაო. თითო მაზრაში 71,648 დესეტინა უნდა იყოსო. თითო ტყის მცველს მოსავლელი უნდა ჰქონდეს ტყე 5,000 დესეტ. მეტყევე რევიზორებს ჯამაგირათ მიეცემათ 1,000 მან. საულუფო 500 მ. სახლისათვის 200 და წასვლა-მოსვლისათვის 500 მან. რევიზოროებს ეყოლებათ თანა-შემწენი, რომელთაც მიეცემათ 300 მან. ჯამაგირი და საულუფო 150 მან. ამ გვარად პროექტი უკვე შემუშავებულიაო და წინანდელზედ 17 მაზრა მეტი იქნებაო, ხოლო ტყის მცველთა რიცხვს მოემატები 239 კაციო.

⁂ ტყეთა მართვის შეცვლისათანავე შეიცვლება აგრეთვე სახელმწიფო ქონებათა მართვის წესი სტავროპოლისა, ბაქოსა, განჯისა, ქუთაისისა, ტფილისისა და ერევნის გუბერნიებშიო, აგრეთვე თერგისა და ყუბანის ოლქაში და შავის ზღვის მხარეო. ამას წინად დაარსებული დროებითი თანამდებობა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულისა კავკასიაში გაუქმდებაო და გამგეობა სახელმწიფო ქონებათა თითოეულს გუბერნიაში მინდობილი ექნება თვითოეულს ცალკე გამგებელსაო. გაზ. «Новости» ამბობს, რომ, როგორც ჩვენ გავიგონეთ, ეს ცვლილება ამ წლის პირველ ნახევარში უნდა აღსრულდესო.

⁂ სომხურს გაზეთს «ნორ-დარს» გაუგია, რომ ვითომ ბ. ადამიანი ტფილისშია უკვე და სომხურს დრამატიულს დასთან ერთად წარმოდგენის გასამართავად ემზადებაო.

⁂ საშინელი შემთხვევა მომხდარა ამას წინად ლომჟის ახლო, სოფ. სენენში, როგორც გაზ. «Новости» სწერს, ერთის გლეხის ცოლს—ანნა ნასაქევსკისას, როდესაც ქმარი შინ არა ჰყოლია, გაუჩაღებია ფეჩში დიდი ცეცხლი, ყმაწვილები გარეთ გაუსტუმრებია, კარები დაუკეტია და თვითონ-კი გახურებულს ფეჩზე ასულა და ალზე დაულევია სული. მისი ძვლები სულ განახშირებულნი ამოუღიათ ფეჩიდგან. თავის მკვლელობის მიზეზი, როგორც ვარშავის გაზეთები ამბობენ, არავინ იცისო.

⁂ 25 იანვარს, სოფ. სოღალუხში ციმბირიდგან გამოქცეული დამნაშავე ალაბკერ-ალლა-იარ-ოღლი დაუჭერიათ, რომელიც სოღალუხში თავის ნათესავებთან იმალებოდა თურმე. დამნაშავე ტფილისის მაზრის უფროსის ბრძანებით მეტეხის ციხეში წაიყვანეს. დამნაშავესთან ერთად დატუსაღებულია მისი ბინის მიმცემი, თათარი ტოვარიდ-ალაბერ-მამად-ოღლი. როგორც ამბობენ, იმავე სოფელში იმალება კიდევ ერთი ნაციმბირალიო.

⁂ ბალიდგან, რომელიც კრუჟოკში ექიმ-ქალების კურსების სასარგებლოდ იყო გამართული, როგორც გაზ. «Нов. Обоз». სწერს, შემოსავალი 1,400 მანათამდისა ყოფილა.

ნარევი

განსვენებული და ყველგან ცნობილი აზნაურ-შვილი იაკინთე ყიფიანი ენა ბრგვილი კაცი იყო და ენას ძალიან უკიდებდა. ერთხელ ოზურგეთს მიდიოდა თურმე და ჩამოუბინდდა. ამ დროს წინ გურული მგზავრი შეხვდა და ჰკითხა:

— სად მი...დ...ი...ხ...არ...გ...უ...რ...უ...ლოო?

— ოზურგეთში! ცქვიტად მიუგო გურულმა.

—ვე...ვე...ვე...ლარ...ჩა...აწ...აწ... ველარ ჩააწეო, უნდა ეთქვა, მაგრამ საუბედუროდ ენა დაება. გურულმა აღარ მოუცადა და მიატანა:

— მშვიდობით, ბატონო, შინამ შენ მაგას გაათავებ, მე ოზურგეთში თავს ამოვყოფო.

თ. კვალითელი

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. ჩოხატაური 24 იანვარს. ფარცხმის საზოგადოებას უჭირავს სუფსის ღელის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაწილი და აკრავს ნიგოითის ქედს სამხრეთით, სწორედ იმ ადგილას, სადაც ეს მთა რიონს უახლოვდება. რამდენადაც გურიის სხვა სოფლები დაუსაჩუქრებია ბუნებას ნაყოფიერის სახნავ-სათესი მიწებით, ტყეებით და სამოვარ მინდვრებით, იმდენად ფარცხმას შემოსწყრომია. ფარცხმისათვის ბუნებას წილად ურგუნებია ყოვლად უნაყოფო ადგილები, რისგამოც მცხოვრებნი იძულებულნი არიან სხვა სოფლებს მიმართონ სახნავის მიწებისათვის.

სახნავ-სათესის მინდვრების სიძვირეს და საზოგადოდ ფარცხმის ბუნების სიღარიბეს ფარცხმელებისათვის ერთი სანაქებო თვისება შეუძენია. მე მოგახსენებთ შრომის მოყვარეობაზედ. სწორედ რომ ძვირად მოიპოვება გურიის სხვა სოფლებში იმისთანა გამრჯელი მუშა ხალხი, როგორიც ფარცხმაშია, მაგრამ მაინც იშვიათია ფარცხმაში იმისთანა სახლობა, რომელსაც შემოდგომაზედ მოგროვებული საზრდო ზაფხულამდე მიჰყვეს; ეს გასაკვირველიც არ არის: გამრჯელმა ფარცხმელმა თუ საყანე ადგილი გაიჩინა სადმე, ნაოფლარისა და ნაჭირნახულევის ნახევარი ადგილის პატრონს უნდა ჩააბაროს და დანარჩენი ნახევარი კი თავათ აღარა ჰყოფნის. თუმცა ასეთს გაჭირებაშია ფარცხმა, ამდენსა ზრუნავს თავის სარჩოზედ, მაგრამ, მაინც არც თავისი სულიერი საჭიროება აქვს დავიწყებული, როგორც პირველის შეხედულობით კაცს ეგონება. ბევრი შეძლებული სოფელი დღესაც უსკოლოთ არის გურიაში, ფარცხმამ კი წარსულს 1884 წ. დაარსა დაბა ჩოხატაურში ერთ-კლასიანი სასოფლო სკოლა, ააგო რიგიანი სახლი და მორთო ჩინებულის სასკოლო ავეჯით. დიაღ, ფარცხმამ დააარსა სკოლა, მაგრამ ამ დაწესებულების დღეგრძელობა ერთობ საეჭვოა, თუ რაიმე წყარო არ აღმოუჩნდა; ამას კარგადა გრძნობენ დღეს აქ ზოგიერთნი და ცდილობენ რითიმე დაეხმარონ ამ სკოლას. ეს ზოგიერთნი არიან დ. ჩოხატაურის მომრიგებელი მოსამართლე ბ-ნი ეფიმოვი და თ. ა. და გ. ერისთავები. იმას გარდა, რომ ამათ ერთ-ხანად ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინეს ამ სკოლას, ბ-ნმა ეფიმოვმა ამ დღეებში გამართა ხელის მოწერა ამ სკოლის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ და 60 მანეთამდე უკვე მოუგროვებია.—«ნუ თუ მაგ მოხსენებულ პირთა გარდა არავინ არის თქვენს მხარეში, რომ ამ გვარს დაწესებულებას თანაუგრძნობდესო», მკითხავს გაკვირვებული მკითხველი, რომელსაც არა ერთხელ აღმოუკითხავს ეფიმოვის სახელი გაზეთის სვეტებზედ და ბევრჯელ სმენია მისის კეთილის ღვაწლის ამბავი. როგორ არა, არიან სხვებიც. აქ რომ მობრძანდე და მაგ «სხვებს» ყური დაუგდო, ქვეყანა მაგათი აშენებული გეგონება: სკოლა, წერა-კითხვის მნიშვნელობა, საზოგადო საქმისთვის თავის განწირვა, სამშობლოს ბედნიერებისათვის კერძო ბედნიერების უარ-ყოფა და სხვა ამ გვარი ფრაზები მუდამ პირზედ აკერიათ, მაგრამ, როცა სიტყვა საქმეზედ მივარდება, მაშინვე შეუმჩნევლად იპარებიან. დანარჩენი უმრავლესობა ხომ გვერდ წოდებულს «ბრძოლას თვით-არსებობისათვის» გამოსდგომია. აქ ისეთებიც არიან, რომ სკოლის სარგებლობას სრულიად უარს ჰყოფენ და სხვებსაც ამით გულს უცრუებენ. «რაც ეს ჯანაბა სკოლები დამართეს, გაიძახიან ამ გვარი გაყბატონები, სარჯათ არა ღირს, ტყუილად აძრობენ საწყალ გლეხებს ტყავს!» დამისხდეთ მზრუნველებს. რა ჰქნან, ეცოდებათ გლეხები და მოდი და გულ-შემატკივრობას ნუ გამოიჩენენ. ესენი კიდევ ჰო,—ჰო, მაგრამ, როცა სკოლების გამრავლებისათვის მოწოდებულნი უარესად იქცევიან, ეს არის სამწუხარო. შემდეგის სიტყვებით უმადურობა იქნება ჩვენის მხრით, რომ დავივიწყოთ ის ღვაწლი, რომელიც ამ სკოლას დასდო ბ-ნმა ი. დუმბაძემ. მხურვალე მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სკოლის დაარსებაში ამავე სკოლის მზრუნველთა ი. ბერძენიშვილმა და გ. მეგრელიშვილმა.

მეტი ექნებოდა. ძმებს მამული არ შეარჩინა. ნასწავლი კია. რა ვიცი, როგორი შვილი გამოვა ჩემიცა?

— მერე როგორ მოახერხე, ბატონო თეიმურაზ, როგორ გაისტუმრე? ჰკითხა ალექსიმ.

— ბიძა შეეწია, ჩემის ცოლის ძმა. ჯერ მე მამადგა, უშოვე ფულიო. საიდამ რას ვუშოვიდი. მაშ კარგიო, ოც-და-ათ თუმანს ვუშოვიო, ერთ წელს მაინც ეყოსო და შენ ვექსილი მიეციო. არა ვქენი. ბევრი სამდურავიც მაჭამა. ბოლოს თითონ კისრულობდა თავდებობას. დავუშალე. თითონ ჩემ ბიჭს დავაწერინე პირობა, რომ რუსეთიდამ მოსვლის შემდეგ გადუხადოს მოვალეს სარგებლით და სარგებლის სარგებლით.

— მერე ერთ წელს შემდეგ, რა იქნება?

— ეგ თითონ იფიქროს, რამდენი ღარიბია და ლატაკი, იოლათ მიდის. ლუკმა-პური იშოვოს და ისე დაასრულოს. ეცადოს, იქნება სახელმწიფო ხარჯზედაც მიიღონ.

— მაშ თქვენ კი არას დაჰპირდით? ჰკითხა გაკვირვებით ალექსიმ.

— არაფერს. რას დავპირდე, რაც არა დევს. ტყუილი იმედით რაზე დავსვა. თუ ღმერთი შემაძლებინებს, რასაკვირველია, მივაწვდენ, იმედს კი ვერ მივცემ?

— შვილი მტრულად გაზარდე, მოყრულად გამოგადგება, ჰა? ძველ ანდაზას მისდევ, ბატონო თეიმურაზ, საყვედურსავით უთხრა ალექსიმ.

— ვაცხონე მაგის მთქმელი. შენ დასცინი ძველის ხალხის ჭკუასა და ღმერთმანი, დასაცინარი არ არის. საქმე სიტყვაში კი არ არის, ჰაზრი გაიგე და. ტყუებით და ლოლოაობით საქმეს ვახდენთ. რა მტრობა? პირ-და-პირ წმინდა ანგარიშზეა ლაპარაკი. ახლა, შე მამა-ცხონებულო, დიდრონებს რო დავპირებოდი, საიდამაო? ეს ხომ ჩემი თავის მოტყუებაც იქნებოდა და შვილისაც, ანგარიშით ავილე, დავილე ჩემი საქმე და გადაწყვეტით პასუხი ვუთხარი. განა ეს მტრობაა? თუ მართალი გნებავს, ნამდვილი მოყვრობა ასეა. თუ არა და ჩვენებმა რომ იციან, ან დაჰპირდებიან და მერე ცარიელზე დასმენ, ან ცოცხალსა და მკვდარს ზედ წააჰკლეტენ,— მე ესეები არ შემიძლია.

— ვითომ გული კი მოგისვენებს, შვილი რომ გაჭირებაში გყავდეს?

— რა ვქნა? ღმერთო, ხომ შენ იცი, ძალიანაც შევწუხდები, მაგრამ მამულს ვერ დავაგირავებ. მაგას მაშინ ვიზამდი, რომ სხვები არა მყავდეს, ცოლ-შვილს რაღა ვუყო? განა იმათი მოვალე კი არა ვარ. გაბედვით ვიტყვი. ის შვილი არ მამიკვდეს, იმის დღის შემნატრავი ვარ, მაგრამ შერცხვენილი ვიყო და ღვთისაგან დაწყევლილი, თუ მე მამული დავაგირაო, ან გავყიდო, რომ ვიცოდე მამაკვდავ შვილს სიკვდილს გადავარჩენ მეთქი. ამიტომ რომ სხვებიცა მყავანან და რა იქნება იმათი ცხოვრება. სიბერის დროს ცოლ-ქმარმა რითი უნდა ვიცხოვროთ? კარ-და-კარ მოსიარულე გლახა მთხოვარობა არა მსურს და მეზობლის შეწუხება და ნათესაობისა არ შემიძლია. შვილები ღმერთმა იცის რა გარემოებაში იქნებიან. ერთი სიკვდილი ხომ სიკვდილია და მეორე სიკვდილი უქონლობაა.

თეიმურაზის გულიან და რიხიანს სიტყვას მოკრძალებით ისმენდნენ გარს მჯდომნი. პირ-და-პირ, გულ-ახდით მტკიცე ლაპარაკი ყველას იმორჩილებდა და ძლიერად რჩებოდათ გულში. ალექსიმ შეუქცია სიტყვა.

— მაშ იმაზედ რას იტყვით, რომ ზოგი დედ-მამა თავსაც იგირავებენ და შვილს სწავლას აძლევენ.

— ეჰ, შე დალოცვილო, სწავლა და სწავლა! უგუნურიც ახლა არ იტყვის სწავლაზე ავს რასმე. სწავლა კარგია, ვინ არ იცის. აკი შვილს, რაც შემეძლო, სწავლა მივეცი და მეორეებსაც ისე უზამ. მაგრამ სწავლულებიცა ვნახეთ, რომ მშივრები ჰყრიან და არც თავის-თავს ადგებიან, არც ოჯახს, არც სხვას. მე ამისთანები არ მინდა. აბა ერთი ნასწავლი მაჩვენეთ, რომ ან მამული გაედიდებინოს, ან თავისით რამე საკუთრებად შეეძინოს. თუ არის ვინმე ამისთანა მსწავლული, ან ნემეცია, ან ბერძენი, ან სომეხი, თორემ ქართველს ვერა ვხედავთ. წელანდელი მოხსენება არ იყოს, ნასწავლები ბარე დარჩენილებსაცა ჰყიდიან, თავის ძმებს უსარჩოდ აგდებენ. მეორეც. აბა დააკვირდით, ვისაც პირველი შვილი გაუზრდია, იმ იმედით, რომ ყველას ამას მოვახმარებო და მერე დამეხმარებაო, აბა თუ მეორე შვილებიც გაეზარდოს. ჩვენში რამდენია ამისთანა ოჯახები: უფროსები მაღალ სასწავლებელში ნასწავლები

განა მე კი არა მტკივა გული, რომ გლეხები ასე გაჭირვებულნი არიან, მაგრამ სკოლას არაფერზე გავცვლი და კიდევ ურჩევ გლეხებს, არავითარი ღონისძიება არ დაჰზოგონ სკოლის საკეთილ-დღეოდ. მაგალითებრ, ცუდი არ იქნება, რომ იმ ექვსს კაცს, რომელიც ნოხატაურის ბოქაულს აქა-იქ გასაგზავნათ ჰყავს სოფლის ჯამაგირითა, ერთი მოაკლონ და ხუთი კაცი იგმარონ. მეექვსე კაცის ჯამაგირი რომ სკოლას მოახმარონ, კარგა შეღავათი იქნება სოფლისა და სკოლისათვისაც.

სასურველია, რომ გლეხებს შეუმსუბუქდეს ეს, მაგრამ ჩემგან სურვილის მეტი რა შეიძლება?

მინდოდა ახალს წელიწადს მენატრა ეს, მაგრამ იმ ურიცხვს ნატვრაში, რომელნიც ამ ბედნიერს დღეს ჩემს გულში გავატარე, ეს როდი მომაგონდა. ეხლა-კი აღარ ვიცი ამ დაგვიანებულს ნატვრას როგორი ბოლო ექნება?

შუბნელი

დამაკვირდი!

თვითეული ადამიანი — ქვეყნიერობაა, რომელიც მასთან ერთად იბადება და მასთანვე ერთადვე ჰკვდება: ყოველის კაცის საფლავის ქვის ქვეშ დამარხულია მთელის ქვეყნიერობის ისტორია.
(ჰეინე)

⁂

ქვეყანაზედ არ არის იმისთანა კაცი, თუნდა ძალიან ბედნიერიც იყოს, რომ ეგან მიისვდოს და არ ამოიოხროს.
(ბუასტი)

⁂

ღაღადი ერისა—ამ სიტყვებით ითარგმნების: პური და მართლ-მსაჯულება.
(ლამოსსე)

⁂

ასლად გაქცევა—ეგეც ერთი ხერხია გამარჯვებისა. (კალდერონი)

⁂

სადაც არა ჰსჯობს, გაცლა ჰსჯობს კარგისა მამაცისაგან. (რუსთაველი)

⁂

დიდებულია მარტო იგი, რაც მკვიდრია. მკვიდრია მარტო იგი, რაც მართალია. (ფერნანი)

⁂

არისტიპი, ერთხელ მივიდა დიონისის მეფესთან და რაღაცა მოწყალება ითხოვა თავისის მეგობრისათვის. რომ ვერა გააწყორა, ბოლოს ფეხებში ჩაუვარდა და ისე დაუწყო ხვეწნა. ამის გამო კილვა და კიცხვა დაუწყეს, ეგრე როგორ დაიმდაბლე თავიო. მან უპასუხა:

— მე რად მკიცხავთ? ჩემი რა ბრალიაო რომ, დიონისიოსსა, ყურები ფეხებში ჰქონიაო.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან ჩვენის გაზეთიდამ ბისმარკის განკარგულება პოლიაკების შესახებ: ბისმარკი პოლიაკებს უწყალოდ ერეკება პრუსიიდამ. ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თვით პრუსიის პარლამენტის წევრთ შორის და ბისმარკს მკაცრად მოსთხოვეს, აეხსნა მათთვის ამ ბარბაროსულის განკარგულების მიზეზი. ყველა მოუთმენლად მოელოდა, რას იტყვისო ბისმარკი, რით გაიმართლებსო თავსა. ბისმარკმა ხმა ამაიღო და აი რა თქო ამ საგნის შესახებ:

> აი ბისმარკის თავის გამართლებაო, ამბობს გაზ. «Новости», რომელიც სიტყვა-სიტყვით მოგვყავს აქა. პოლიაკები საშიში და ძნელად სანდობი ხალხიაო, ამბობს ბისმარკი. მეტადრე პოლშის თავად-აზნაურობა საშინლად აუთვალწუნებია ბისმარკსა. აი იმის ნამდვილი სიტყვები: «თავად-აზნაურობა თავის ჩანჩალეებით, კარის კაცებით მუდმივი, დაუცხრომელი მოთავე და ხელის მომმართველი ყოფილა ყოველი ხელმწიფობის წინააღმდეგ განძრახვისა». ამის გამოვო, ამბობს ბისმარკი, ჩემი წმინდა მოვალეობაო მამულის წინაშე, რაც შეიძლება შევასუსტო პოლიაკების ძალაო პრუსიაში. ჯერ დრო ნებას არ მაძლევსო, რაც პრუსიაში პოლიაკები მოიპოვება, სულ გადავასახლოვო; ამიტომ ამ ხანობით ჩემ აუცილებელ მოვალეობათ ვთვლიო, უცხოთა ქვეშევრდომნი პოლიაკები მაინც მოვიშოროო ჩვენი ქვეყნიდამაო. მაგრამ მოვაო დრო და მაშინ ვეცდები სრული «ექსპროპრიაცია» მოვახდინოვო, ე. ი. ყველა მამულის პატრონი პოლიაკის ჩამომავლობისა ჩვენგან გავაძევო, მამული ჩამოვართოვო და სახელმწიფოს გადავცეო.

ვთქვათო, საფუძვლიანად ამბობს გაზეთი, ყველაფერი, რაც ბისმარკმა თქო, მართალიც იყოსო. მაგრამ განა ეს იმის პასუხია, რის გაგებაც პარლამენტს უნდოდაო? განა პარლამენტი ამასა ჰკითხავდაო ბისმარკს? სრულიადაც არაო;—აი პარლამენტს რის შეტყობა უნდოდაო:

> რა დააშავეს ისეთი იმ 30,000 პრუსიაში მცხოვრებთ რუსის და ავსტრიის ქვეშევრდომთაო, რომ ერთს მშვენიერს დღეს გამოუცხადეს,—აიყარენით აქედამაო და სამუდამოდ გამოეთხოვეთ პრუსიასაო. ესეთის უსამართლობის მაგალითი არ ყოფილა მეცხრამეტე საუკუნეში. ამიტომ ყველა გაკვირვებით კითხულობდა: ნეტავი ისეთი რა დანაშაულობა მიუძღვის პრუსიის სახელმწიფოს წინაშე ამ საბრალო 30,000 კაცს, რომ ესე შეუბრალებლად აშორებენ თავის ცოლ-შვილს, ნათესაობას, ართმევენ წუხვით და დაგვით შეძენილს ქონებას და ცხოვრების მოსაძიებელ სახსარს უსპობენ. ამის პასუხად ბისმარკი გაიძახის, პოლიაკების მამა-პაპა პრუსიის მშვიდობიანობის ალმშფოთებელი, პრუსიის სახელმწიფოს დაუდგრომელი მტერი იყოვო.

ჩვენში რომ იტყვიან, მამის ცოდო შვილს მოეწიაო,—სწორედ ეს არის.—ბისმარკის პასუხი მგლისა და ბატკნის იგავ-არაკს მაგონებს:—მგელს ბატკნის შეჭმა უნდოდა და ძველი ვალების ანგარიში დაუწყო. სხვათა შორის ისიც დანაშაულობათ ჩაუთვალა საწყალს ბატკანს, რომ მთელი ამის გვარეულობა მგლის დაუცხრომელი მტერია. საწყალმა ბატკანმა თავის მართლობა დაიწყო, მაგრამ... მგელმა ყური აღარ დაუგდო, აიღო და გადაყლაპა. არა სჯობდა ბისმარკსაც პირ-და-პირ ეთქვა: ეხლანდელი პოლიაკები იქნება დამნაშავენი არ იყვნენ, მაგრამ... ჩემი ნებაა და ვერეკებიო. მე ესე მომწონსო. აბა ბატკანს მგლის წინ რა ეთქმის!

⁂

რუსის ნემეცები ბალტიის ზღვის პირის გუბერნიებში დიდს ეშმაკობას იჩენენ. ამ გუბერნიებში ნემეცები და ლატიშები სცხოვრობენ. ლატიშები რუსებს უფრო ენათესავებიან; თუმცა თავისი საკუთარი ენა აქვთ, მაგრამ ეს ენა რუსულს უფრო ჰგავს, ვიდრე ნემეცურს. აქამდინ ნემეცები აქ სრული ბატონები იყვნენ. ყოველგვარი საქმე ნემეცურს ენაზედ სწარმოებდა, მაგრამ ამ ბოლოს დროს, მთავრობის უქაზია, რომლის ძალითაც ყოველი საქმის წარმოება რუსულს ენაზედ უნდა მიდიოდეს. ეს ნემეცებს არაფრად ეჭაშნიკათ თურმე და ეხლა ყოველ ღონის-ძიებას ხმარობენ, რომ უქაზის ძალა რაიმე საშუალებით გააქარწყლონ. აი ბ-ნი ბუკვა გაზ. «Новости»-ებში რა ახირებულს ამბავს მოგვითხრობს:

> ნემეც მსაჯულს გუბერნატორისაგან რუსულს ენაზედ ქაღალდი მოსდის, ვთქვათ რომელიმე გლეხის—ლატიშის საქმის შესახებ. ეს მაშინვე იბარებს უმეცარს ლატიშს და განგებ აჩქარებით, დიაკვნურად გუბერნატორის ქაღალდს უკითხავს. საწყალ ლატიშს არაფერი ესმის, პირი დაუღია, თვალები გაუშეშებია და გადაშტერებული შეჰყურებს მსაჯულს. მსაჯულსაც ეს უნდა. საჩქაროდ ხელში კალამს აჩეჩებს საწყალ პირ-დაღებულ ლატიშს და უბძანებს:
>
> — ხელი მოაწერეო!
>
> — ბატონო, რას მოვაწერო, რაც არა მესმის-რა.
>
> — ეს ჩემი საქმე არ არის! ქაღალდი «სახელმწიფო ენაზეა» დაწერილი.
>
> — ბატონო, მსაჯულო, თქვენ ხომ გაიგეთ ეგ ქაღალდი?
>
> — არ ვიცი.
>
> — გეთაყვა, ბატონო, მითხარით ლატიშურად, რა სწერია მაგ ქაღალდში.
>
> — ეს ჩემი მოვალეობა არ არის. ხელი მოაწერე. საწყალს მეტი ჯანი და ღონე არა აქვს, უნდა მოაწეროს ხელი მას ზედ, რაც მსაჯულმა დიაკვნივით ჩაულუღლუღლაო.

ხომ გაგიგონიათ, მკითხველო, ძაღლსა სცემდნენო, რძალს ასმენდნენო; მაგრამ ეს საწყალი ლატიშები რა შუაშიდა არიან! ეს კი სწორედ ახირებული თავ-გასულობაა ნემეცების მხრივ, თუ თქვენც იტყვით!

⁂

გამოჩენილს მოსკოვის ექიმს, პროფესორს ზახარინს, ბევრი საოცარი ჩვეულება ჰქონია. აი ბ-ნი მეშჩერსკი რას მოგვითხრობს თავის «დღიურში»:

> ბ-ნმა ზახარინმა დაჰყო პეტერბურგში რამდენსამე დღეს. შინაგან საქმეთა მინისტრის გარდა, ამან ნახა კიდევ ორი ავად-მყოფი. ერთის ნახვა თითონვე მაინდომა, მეორე კი დედამ ანახვა; საწყალი დედა თითქმის ძალით შეუვარდა სახლში და ცრემლით და მუდარებით შეაბრალა თავი.
>
> აი როგორ ეწვევა ხოლმე პროფესსორი ავად-მყოფს. ერთის საათის წინად ჯერ ამის თანაშემწე მიდის ავად-მყოფთან. თუ კიბე აქვს პროფესსორს ასავალი, სკამს უმზადებენ, რომ თუ კიბეზე ასვლაში დაიღალა, დაისვენოს. ბ-ნი ზახარინი სახლში ქურქით და ქუდ-მოუხდელი შემოდის და სასტუმრო ოთახამდინ ამ სახით მიდის. აქ ქურქს იხდის, თითონვე ჰკეცავს და თავის ადგილას სდებს... მერე კუთხეს სძებნის და იქ ჯოხს აყუდებს... ამის შემდეგ, ისევ ქუდ-მოუხდელი ავად-მყოფის ოთახში შედის. აქაც ჯერ კიდევ ოთახს ათვალიერებს, ხომ არსაიდამ უბერავსო. და მხოლოდ დათვალიერების შემდეგ ქუდს იხდის და საქმეს ხელს მიჰყოფს, ამასთან სტოლზე უთუოდ კამფეტებიც კი უნდა იყოს. ჯერ დაიწყობა ავად-მყოფის გამოკითხვა... ამას ერთ საათზე მეტი უნდება. რაც კი ავად-მყოფს დაბადებიდამ თავს გადაჰხდია, ყველას დაწვრილებით ჰკითხავს, არც ერთს წვრილმან გარემოებას არ გამოსტოვებს. ამის შემდეგ ავად-მყოფის შინჯვას იწყობს. ამასაც საათზე მეტი უნდება... მერე კიდევ უფრო დაწვრილებით ხელ-მეორედ გამოკითხვას მოჰყვება ხოლმე. ბოლოს ბ-ნი ზახარინი კარგა ხანს ავად-მყოფს თვალებში აცქერდება და ავად-მყოფობას ცნობულობს.

თუმცა ყოველ ამითი ჩინეთის მანდარინს მოგვაგონებს ბ-ნი ზახარინი, მაგრამ თუ ამ ცერემონიას და ამოდენა დროს ჭეშმარიტი გულ-მოდგინება მოსდევს, მაინც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ.

რუსეთი

ამ ჟამად რუსეთის გაზეთები ცხარედ ბაასობენ ფინანსთა მინისტრისაგან აღრიცხულს 1886 წ. შემოსავალ-გასავალზედ. რუსეთს ძრიელ აფიქრებსო ის გარემოება, რომ ამ წელს გასავალი აღემატება შემოსავალს 25 მილიონი მანათითა. როცა სახელმწიფომ უფრო მეტი უნდა დახარჯოს, ვიდრე შემოსავალს მოელის, მაშინ ცხადია, რამე ღონისძიებას უნდა მიმართოს და ეს დანაკლისი საიდამე შეავსოს. ან უნდა უცხო სახელმწიფოებში ისესხოს ფული და სარგებელი აძლიოს, ან უნდა იმდენი ქაღალდის ფული მოსჭრას, რამდენიც საჭიროა, ან ხარჯი მიუმატოს ხალხს, და ან სხვა ამ გვარი რამ წყარო მონახოს. ზოგს ჰგონია, რომ უფრო კარგი იქნება ამ შემთხვევაში სახელმწიფომ ქაღალდის ფული მოსჭრასო, ვიდრე უცხო სახელმწიფოებში ისესხოსო. როცა სახელმწიფო სხვაგანა სესხულობს ფულს, რასაკვირველია, ხანგრძლივის ვადითა სესხულობს და სარგებელს ბევრს აძლევსო, ისე, რომ ბოლოს მანათზედ თითქმის ორს მანათსა სდილობსო. ქაღალდის ფული კი რომ მოსჭრას, სარგებელს სრულიად აღარ გადაიხდისო. ამ აზრის მიმდევარნი ურჩევენ ხაზინას, ქაღალდის ფულს ნუღარ გააბათილებთო, და ამით ქაღალდის ფულს ნუ კი გამოაკლებთ ქვეყანასაო, არამედ საჭიროების დროს

არიან და იმის მომდევნოებს ორისამი კლასიც არ გაუთავებიათ. დადიან ეს სამ-ოთხ კლასელები საცოდავად, უქონელები, უსწავლელები, არც ამ მთისა ეყურებათ და არც იმ მთისა. პირ-იქით ამისთანებმა წაგვბილწეს. ზოგი ცრუ-პენტელა ადვოკატია, ზოგი მოჩხუბარა მთრეველია; ამათმა მაგალითმა ხალხი გარყვნა. ეს არის რაღა? არა სჯობდა, რომ შინ მამულში ყრილიყვნენ და მამა-პაპურად ხვნა-თესვაზე ყოფილიყვნენ. აი რა გახლავს, ერთს რომ ანაცვალებენ ყველაფერს და მეორებს კი სული ამოსდით გარყვნილობაში.

— ეს ლაპარაკი მეტად შესანიშნავი მეჩვენა ამ ჩვენს დროში. ნეტა ვიცოდე, ვფიქრობდი ჩემ გულში, ბევრია თეიმურაზისთანა ფრთხილი კაცი მეთქი?

⁂

თეიმურაზი ჩამოხტა სტანციაში. იმის მომუსაიფეთა განაგრძეს ლაპარაკი. როგორც ჩვენში ჩვეულებაა, მეტადრე სოფლებში, წასულ კაცზე ზოგმა კილვა დაიწყო.

— არა, თქვენი ჭირიმე, ის რა წამოროხა ცოლზე, სარეცხსა რეცხავსო, სთქვა ერთმა.

— საშინელი მროხავი კაცია, რაც კი მოადგება პირზე, მაშინვე იტყვის, სთქვა მეორემ.

— კუწურაკი რამ არის, თქვენმა მზემ, მგონია ცოლი რა დღეში ჰყავს. სარეცხს დარეცხავს მა რა. შვილისთვის არა ემეტება-რა. სთქვა კიდევ ვილაცამ. ამბობენ, კარგა ცხოვრობს თავისთვისაო. რასაკვირველია, მაგისთანა კაცს არც ვალი შეაწუხებს და ყოველთვისაც სახლი სავსე ექნება.

— თქვენ ხო აგრე გგონიათ კუწურაკიო, არ არის აგრეთი; ანგარიშიანი კაცია, ზომა იცის და იმიტომ ცხოვრობს რიგიანათა, სთქვა ალექსიმ.

— მართალი თუ გნებავთ, მართალს მე მოგახსენებ. მაგისი ოჯახის სიკეთე სულ ცოლისაგან არის. სთქვა ერთმა, აქამდის ჩუმად მჯდომმა. სწორედ ოჯახის ბურჯია. რა იყო თეიმურაზი, ცოლი რო შეირთო. ერთი საცოდავი აზნაურიშვილი იყო, ორიოდ მტკაველი მიწა ჰქონდა. მარჯვე კი იყო, მაგრამ, ცოლიც რო მარჯვე შეხვდა, ძალიან დაეხმარა. დიდი საქმეა, თქვენმა მზემ, ოჯახისთვის ნამდვილი ოჯახის გამძღოლი დედა-კაცი.

— სწორედ რომ მართალი ბრძანებაა, ჩამოართვა სიტყვა ერთმა გვერდ მჯდომმა. ჩვენი ოჯახობის დაქცევის პირველი მიზეზები სწორედ დედა-კაცები არიან. იმუშავე ათასი, შინ რომ მილიონები შეიტანო, თუ კი გამძღოლი და რიგის მიმცემი არ გეყოლება, რა გაუძლებს? ჩვენმა დედა-კაცებმა, სულ არ იციან ოჯახის მოვლა. სომხები რათ არიან გაკეთებულები? გარედ ქმარი იგებს და შინ ცოლი ფრთხილობს, ფხიზლობს, სახლს უძღვება.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქაც აკი იმათა აქვთ. ჩააკვრა სიტყვა თეიმურაზის დამცინავმა.

— ბატონო, ბარაქა რატომ არ ექნებათ, განაგრძო ისევ წინად მოსაუბრემ. ჩვენი სახლის და ოჯახის გაძღოლა გოგო-ბიჭების ხელშია. რა იციან ჩვენმა ცოლებმა? ჩააცვი, მორთე და სულ მეჯლიშებში ატარე, ლოტოებში დასვი. ჩვენი ოჯახები უკან წავიდაო, რა კეთილი დაგვეყრებოდა?

— არა, ის კი მეტის-მეტი თქვა, კიდევ მოაგონდა პირველ დამცინავსა, სარეცხიო. აბა თქვენ დღე-გრძელობას, რა სათქმელი იყო.

— ეჰ, ბევრს სასაცილოდ ეგონება, თქვა თეიმურაზის მოსარჩლემ, მაგრამ თეიმურაზ კი იძახის «ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო». ჯერ თვისი საქმე კარგა მიჰყავს და ბევრს დაგვდევს.

— ერთი მაგ-გვარი კაცი კახეთისკენა ვნახე. მეტი როხვა იცის. შინაურს და გარეულს არ ინდობს. ეგ კაცი იმასა ჰგავს. ჩაუმატა სიტყვა ერთმა, რადგან ლაპარაკის საგანმა მოაბეზრა. ძმა ჰყავდა და სწავლის სარგებლობაზე ელაპარაკება, მოუბრუნდა და ეუბნება, ახლა შენ რო ჩემზე ნასწავლი ხარო, რითა ხარ მეტიო, აბა მითხარიო. შენი ჭკუის ნამუშევარი დაგიწერია რამე წიგნიო, რომ საქვეყნოდ გამოსაყენებელი იყოსო? არაო.—არც მე მიწერიაო. აბა ახლა ოჯახობის საქმეში ვნახოთ: შვილი გყავსო? არაო. მე კი მყავსო. შენზე მეტი ვყოფილვარო. აბა ახლა მითხარიო, მამული შეგიმატებიაო? არაო. მე კი შევიმატეო, შენ-კი ვალში იხრჩობიო. მეც ვიცი, განათლება განძია, მაგრამ თუ მართლა განძის პატრონი ხარ, რაზე ჩაგიკეტია ზანდუკში და ზედ აზიხარო, და მტერს რა დააკელ, ან მოყვარეს რა შემატეო. სიტყვა მოუჭრა ნასწავლ ძმას. ამ თეიმურაზის ლაპარაკიც ეს არის.

ანჩხატელი

(დასასრული ხვალ)

ბიდგეც ახალი მოსწერით ხოლმეო. ამ გვარი აზრი ყოვლად შემცდარი აზრია და სახელმწიფოსათვის უფრო მავნებელია და მაზარალებელი, ვიდრე ფულის სესხი სხვათა სახელმწიფოთაგანსაო. როცა ქაღალდის ფულსა სჭრის სახელმწიფო და ამით ფიქრობს სახელმწიფო საჭიროებათა დაკმაყოფილებას, მაშინ მალდატანებული ფასი ედება ქაღალდის ფულს შიგ სახელმწიფოშიო, ხოლო გარეთ უცხო სახელმწიფოთა ბირჟაზედ ფასი მისი იწევს და მთელი სახელმწიფო ამ ბირჟის ხელში სათამაშოთ ხდებაო. ომიანობის ხმა რომ დავარდეს, მარტო ეს ხმა მეტად საგრძნობელია ხოლმე ჩვენთვისაო. ამას გარდა, თვით მთავრობა დიდ ზარალშია, ამიტომ, რომ წინანდელის სესხისათვის, რომელიც ოქროთი და ვერცხლით აუღია, კურსის დაწევის გამო ბევრად მეტს აძლევს, ვიდრე მაშინ მისცემდა, კურსი ჯეროვანს სიმაღლეზედ რომ მდგარიყოვო. ეხლა, მაგალითებრ, რუსეთი ძველის ვალების გამო იხდის მარტო ამ კურსის დაწევის მიზეზით 17 მილიონს მანათზე მეტს რკინის გზების ობლიგაციების გამო, რომელიც ოქროსა და ვერცხლის ფულზე იყვნენ გამოცემულნი, მთავრობა მეტსავე იხდის 19 მილიონის მანათის ფულსაო. ისევ ის სჯობიან, რომ ან ხარჯი უფრო მეტი დაიდოს, ან ახალი ხარჯები შემოიღოს მმართებლობამ, ან ისესხოს სხვაგან, და ქაღალდის ფული კი არ მოსჭრასო. რაც ქაღალდის ფულია სახელმწიფოში—ეგ ვალია მისი და უფრო მძიმე ვალია, ვიდრე ის ვალი, რომელიც უცხო ქვეყნებიდამ არის აღებულიო. ქაღალდის ფულის სიმრავლე ცხადად ამტკიცებს, რომ შემოსავალი და გასავალი გათანაბარებული არ არისო. ქაღალდის ფული, რაც უნდა ბევრი მოიჭრას, ვერ გაასწორებს შემოსავალს გასავალთანაო. ქაღალდის ფულის მოჭრით რომ მაგდენი რამე კეთდებოდეს, მაგაზე ადვილი რაღა იქნებოდაო. სტამბა ერთს დღეს და ორ დღეს რამდენსამე მილიონს ფულს დაბეჭდავდაო. მაგრამ ეს ასე არ არის და ამითი ვერ გამოვა ხაზინა გაჭირებიდამ და ვერც ეკონომიურ მდგომარეობას ქვეყნისას ეშველება რამეო.

* * *

გვიან მოსული დეპეშა

28 იანვარი

მოსკოვი. გუშინ საღამოს გულის ფრიალის გამო უეცრად გარდაიცვალა გაზ. «Русь»-ის რედაქტორი აქსაკოვი.

ოდესა. მეორედ გაარჩიეს ჟანდარმების კაპიტანის ჰიჯეუს მოკვლის საქმე, დამნაშავეთ ლაქია პოპლავსკი იცნეს და თოთხმეტის წლით კატორგა გაუჩინეს.

ბელგრადი. გერმანიის ელჩმა უთხრა გარაშანინს, გერმანიაც თანხმაა რუსეთის ნოტისა, რომ ბუქარესტის გაარჩევს საგანს სამზღვარი დაედოს, რომ წინად განსაზღვრულს საგანს დელეგატები არ გადასცდნენო. ამ სახით, ეხლა ყველა დიდი სახელმწიფონი თანხმანი არიან ზემოხსენებულის ნოტისა.

ბუქარესტი. ვიდრე მაჯიდ-ფაშას შესაბამი დარიგება მოუვა, დელეგატები მხოლოდ ერთმანერთის აზრს მოისმენენ და კრებას ოფიციალური სახე არ ექმნებაო.

ათინა. საბერძნეთის მმართებლობა ისევ ისე თავისას თხოულობს; საზოგადოებაც მხარს აძლევს მმართებლობას; საომრად კვლავ დაუცხრომლად ემზადებიან.

რომი. გარეშე საქმეთა მინისტრმა ჰსთქვა დეპუტატთა პალატაში, რომ იტალია საბერძნეთის შესახებ ისე მოიქცევა, როგორც სხვა სახელმწიფონიო; ამ საგანზე მინისტრს სხვა არარა უთქვამს-რა.

ლონდონი. როცა ტრაფალ-გარდის სასეირნო ბაღში კრება გათავდა, რამდენიმე ათასი კაცი გამართა ლონდონის მდიდარ უბნებისაკენ და გზა-გზა საშინლად იკლებდა და აოხრებდა, რაც ხელში მოხვდა. თითქმის ყველა სახლების ფანჯრებში მინები ჩაამტვრიეს; ბევრი მაღაზია ააოხრეს, უფრო ძვირფასის ნივთების მაღაზიები აიკლეს. პოლიციამ ძლივ-ძლივობით აღადგინა წესიერება; ბევრნი დაატუსაღეს.

პარიჟი. სენატმა გადასწყვიტა: სასოფლო პირველ-დაწყებითს სკოლებში სწავლა მხოლოდ საერო პირთ ხელში უნდა იყოსო.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ **1886** წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,

უველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

იანვარი 31 დღით არის.

28 დღე სამშაბათი. ღირს. ეფრემ ასურ. სომეხ. წმ. ანდრია მხედართ-მთავარი კათ. კირილე ეპ., ფლავიანესი და კარდასსა. მუსულმ. 6 დღე თთვისა ჯემდ-ულ-ეველ 1303 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—27. ტფილისში მზე ამოდის 7—4; ჩადის 5—25. მთვარე ამოდის 4—48; ჩა- 10—22 ღ.

29 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწამე ეგნატი ღმერთ-შემოსილისა, ღირსისა ლავრენტი, რომანოს. სომეხთა მარხვაა. კათოლ. ფრანცისკისა.

დამტკიცდა პირველი წესდება მართმადიდებლის ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოებისა კავკასიაში (1865 წ.) ჭეშმარიტი შუადღე 12—14—28. ტფილისში მზე ამოდის 7—3; ჩადის 5—26. მთვარე ამოდის 10—20; ჩადის 11—22 ღ.

30 დღე ხუთშაბათი. წმ. დიდთ-მღვდელ-მთავართა: ვასილი დიდისა, გრიგოლ ღვთის-მეტყვ. და იოანე ოქროპირისა. სომეხ. წმ. ადრიანესი; კათოლ. ქალწულისა მარტინასი. მუსულმ. დაბადება ალისა (სუნიტის მოძღვრ.) ჭეშმარიტი შუადღე 12—14—28. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 5—26; მთვარე ამოდის 10—55; ჩადის 11—22.

31 დღე პარასკევი. წმ. საკვირველ-მოქმედის კვიროსი, იოანესი, ხსოვა შიო მღვიმელის სასწაულისა. სომეხ. მარხვაა. კათოლ. პეტრესი. 5—46 წ. ტფილისში იწყება პირველი ხარისხი მთვარისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—27. ტფილისში მზე ამოდის 7—1; ჩადის 5—29. მთვარე ამოდის 11—35. ჩადის 12—24 ნღ.

ფებერვალი 28 დღით არის

1 დღე შაბათი. წმ. მოწამე ტრიფონ, სომ. გრიგოლ ღვთის-მეტყველისა; კათოლ. ეგნატესი ეპ. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—26; ტფილისში მზე ამოდის 6—58; ჩადის 5—30; მთვარე ამოდის 12—21; ჩადის 1—25 ნღ.

2 დღე კვირა. მიგებება უფლისა, აგრეთვე კათოლიკეთა; სომ. აღების ღამე არაჯაორაც მარხვისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—24. ტფილისში მზე ამოდის 6—57. ჩადის 5—32; მთვარე ამოდის 1—12; ჩადის 2—26 ნღ.

3 დღე ორშაბათი. წმ. სვიმეონ ღვთის მიმრქმელისა, წინასწარმეტყველისა ანნასი. კათ. ბლიაზისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—21; ტფილისში მზე ამოდის 6—55., ჩადის 5—33. მთვარე ამოდის 2—13; ჩადის 3—28 ნღ.

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა.	2¼ ›
› › 2 ›	2 ›
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ ›
მე-2 ხარისხისა	3½ ›
მე-3 —	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 ›
2 —	7 ›
ჩალაღადი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 ›
ცხვრის ხორცი	7 ›
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ.	5 ›
2-ის ხარისხ.	4 ›

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. დ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. დ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი დღითა დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორს გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

უწინდელზე ნახევარ ფასათ

ლექსიკონები: საბა-სულხან ორბელიანისა—2 მ. 20 კ. გაგზავ. ბოტანიკურ - ზოოლოგიური — 1 მ. 10 კ. ისყიდება თბილისში, გრ. ჩარკვიანის მაღაზიაში.

(3—1)

საქართველოს ეპარქიის სამზრუნველო გლახაკთათვის სასულიერო წოდებისა ამით აცხადებს, რომ საფასოთი მისითა დაიბეჭდა და გამოიცა სამ-ნაწილოვანი წიგნი «სასწავლებელი კეთილ-მსახურებისა», თარგმნილი რუსულიდგან ქართულად აბხაზეთის ეპისკოპოზის, დავით მაჭავარიანისაგან, სასარგებლოთ ობოლთა და ქვრივთა, სასულიერო წოდებისათა, და ისყიდება ერთად სამი ნაწილი ცხრამეტ შაურად და ერთ კაპეიკად. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ამავე სამზრუნველოს მდივანს, ბ-ნ ჩიტაძეს, სადაც დღეებში დილით ცხრა საათიდგან, პირველ საათამდინ. სადგურსა შინა სინოდალის კანტორისა.

წევრი სამზრუნველოსი
არხიმანდრიტი მაკარი

(3—2)

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი

„ივერია“

1886 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 »	9 » 50	5 »	5 » 25 „
10 »	8 » 75	4 »	4 » 75 „
9 »	8 » —	3 »	3 » 50 „
8 »	7 » 25	2 »	2 » 75 „
7 »	6 » 50	1 »	1 » 50 „

სამზღვარ-გარედ დაბარებული ღირება—17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მანათად.
ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Въ редакцію газеты «ИВЕРІЯ.»

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში — ერთი მანათი.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდამ გაეგზავნება.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში, შავერდოვის სავაჭროში, ცენტრალურს და ზრიკურიევის წიგნების მაღაზიებში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის.

ა) მეოთხე გვერდზედ თითო წვრილ სტრიქონზე 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რაც სტრიქონსაც გამოანგარიშება იმას კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლდებიან ან შესწორებული იქმნება. არ დაბეჭდილი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-ვითარ მიწერ-მოწერას არ დაბეჭდილ ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს. პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქმნება ყოველ-დღე პირველ საათიდამ სამს საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозволено цензурою Тифлисъ 28 января, 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა სასახლის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.